ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №203727

ნომერი: AR155187

თარიღი : 31.05.2012

გაცემის თარიღი : 08.06.2012

გაცნობის თარიღი : 26.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი რესპუბლიკა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან გაჩეჩილაძე პ/ნ 01024001989
- თბილისი ცაგერის ქ. N 6 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს ჯორჯია ჰოტელ მენეჯმენტი კოდი: 404385722

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №69962 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 31 მაისს №AR155187 განცხადებით მომართა მოქ. ლევან გაჩეჩილაძემ და მოითხოვა 2012 წლის 07 მარტის №69962 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №69962 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.002) საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) არსებული შენობის რეკონსტრუქციის-მიშენებით მიზნით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 10840 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.15.04.004.002.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 8505 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.15.04.004.042 (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012118653, მომზადების თარიღი 26.03.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 21.03.2012წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 07.03.2012წ. №69962 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის2012 წლის07 მარტის№69962 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად10840 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს8505 კვ.მ.. საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.15.04.004.042 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №69962 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.